# სახალხო გაზეთი

№ 674 სამშაბათი, 14 აგვისტო, 1912 წ. № 674

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორის მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.
**სახ. გაზ. კანტორა.**

## სახალხო გაზეთი
სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა
1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდგან
წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს
**1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

**ილია და ანდრია მიხეილის ძენი მამაცაშვილები მეუღლეებითურთ და ანეტა ზაქარიას ასული კობახიძე,** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა—პირველთა საყვარელი პაპა, მეორისა - მამა

**ზაქარია ივანეს ძე ბალიაშვილი.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 9. 14 აგვისტოს, დილით, სოფ. **დიღომში,** თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში, დასაკრძალავად გაასვენებენ კალოუბნის ეკლესიიდან.
(1.609.1)

## ვ ა ს წ ა ვ ლ ი
## „ქართულ სიმღერა გალობას“,

**მიღება და ჩაწერა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.**
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29.
სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკევობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.
მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.
**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.**
(12.1435.4) იკითხეთ მიხეილ კავსაძე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძლიერების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დგვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ხ.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ბ. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დგვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ბოტინანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მჭედლიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.92)

## ა გ ე ნ ტ ი
## მ. ა. გაჩონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

**ადრესი:** 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
(10.1436.2) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

## გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1020 361)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 11½ ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**მირზოგოვი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს. გარდა კვირ.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.
**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 20)

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—63)

**ექიმი** ქალი **დ. გ. საყვარელიძე.**
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5-6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.4)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
**წამლობა „606“-ით.**
(წლ—1018—53).

**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045 17).

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1049—118)

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

**ექიმი** აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.224)

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—42)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი**
შინაგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14.
(0—1411—28)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—83)


## ტფილისი 14 აგვისტო.

**ალბანეთის ავტონომია.** ალბანეთის აჯანყებას ბოლო ეღება: ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა, აჯანყებულთა მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა და ალბანეთისთვის ავტონომია მიენიჭებინა. ოსმალეთში კონსტიტუციონური წეს-წყობილება არსებობს, აღიარეს ყველა ერთა თანასწორობა კანონის წინაშე, მაგრამ ამან ეროვნულ უთანხმოებას მაინც ბოლო ვერ მოუღო. ალბანეთი აჯანყდა და მოითხოვა ტერიტორიალური ავტონომია. დიდის ხნის ლოდინის შემდეგ დარწმუნდა, რომ ალბანეთისთვის საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია; დარწმუნდა, რომ მხოლოდ ტერიტორიალური ავტონომია მისცემს მას თავისუფალ განვითარების გარანტიას. ვერც ოსმალეთის კონსტიტუცია და ვერც დაპირებანი გამეფებულ პარტიებისა გარანტიად ვერ ჩაითვლება. აი სწორედ ეს შეგნება ჰხდიდა მათს მოქმედებას შეუპოვრად. ეს შეგნება აღებინებდა ხელში იარაღს.

დეპეშებით ვიგებთ, რომ აჯანყებულთა მეთაურებსა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის უკვე შეთანხმება დამყარდა, რა თქმა უნდა ერთბაშად სრული თანხმობა ვერ დაიბადება. ჯერ კიდევ ბევრი რამ იქნება სადავო. მაგრამ ავტონომიური წეს-წყობილება ალბანეთს მაინც განვითარების განსაზღვრულს კალაპოტში ჩააყენებს.

ამ მოკლე ხანში ორმა ერმა მიიღო ავტონომიური წეს-წყობილება: ირლანდიამ და ალბანეთმა. ალბანეთის აჯანყება უეჭველია ოსმალეთის სხვა ერებსაც წაახალისებს. დღეს არა ხვალ, უეჭველია არაბეთიც აჯანყდება და ისიც ავტონომიას მოითხოვს. ოსმალეთმაც, თუ ჰსურს სახელმწიფოს მთლიანობა დაიცვას, ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა ამას და დეცენტრალისტურ გზას დაადგეს. ოსმალეთის ხსნა დეცენტრალიზმია.

## ქართული პრესა

ის საკითხი, თუ რას უნდა მოჰხმარდეს განსვენებულ ალ. ხახანაშვილის მიერ ნაანდერძევი ფული, გაზეთ „თემსაც“ აინტერესებს. მას „ზაკავკაზიე“-ს წინადადება, რომლის შესახებ ჩვენი აზრი კიდეც გამოვსთქვით, არ მოსწონს, და სწერს:

„არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, ჩვენი საკუთარი საზოგადო ფული, ქონება უნდა მოვახმაროთ მხოლოდ იმისთანა რამეს, რომელიც პირდაპირ ეხება **სახალხო განათლების** და ჩვენი ქართული ეროვნულ-კულტურულ ელფერის შენარჩუნების საქმეს, რადგანაც ჩვენი თანხა არც ისე დიდია, რომ სხვა ყველა მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ.

სწორედ ასე შეხედა „სახალხო გაზეთმაც“, რომელიც სამართლიანად ჰფიქრობს, რომ რაკი ალ. ხახანაშვილმა პირობა არ დაუდვა წერა-კითხვის საზოგადოებას, ამიტომ მას სურდა მისი ფული საზოგადოების პირდაპირ დანიშნულებას მოხმარებოდა. სამართლიანადვე აღნიშნავს იგივე გაზეთი, ეს სურვილი გამოსჭვივის აგრეთვე იმ ფაქტიდან, რომ თავისი სახლი გორში განსვენებულმა უანდერძა ამ ქალაქს **უფასო ქართულ** სახალხო სკოლის გასამართავად.

ამიტომ ჩვენ სრულიად ვემხრობით „სახალხო გაზეთის“ აზრს, რომ საჭიროა ალ. ხახანაშვილის თანხის სარგებლით დაარსდეს ალ. ხახანაშვილის სახელობაზე სახალხო სამაგალითო სკოლა, რომელმაც თანამედროვე პედაგოგის ყველა მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. სწორედ ამ გვარი აზრი გამოსთქვა ამას წინად ჩვენმა მოღვაწემ ბ. იაკობ მანსვეტაშვილმა, რომელმაც 500 მანეთი შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას და გვირჩია იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე გორში ან მის მაზრაში დაგვეარსებინა ისეთი მოსამზადებელი სკოლა, სადაც უნდა განხორციელდეს ყველა ის პედაგოგიური პრინციპი, რომლის აღმსარებელი იყო განსვენებული ჩვენი პედაგოგი. ამ აზრს ჩვენ მაშინაც დავუჭირეთ მხარი. ახლაც ვიმეორებთ, რომ უსათუოდ საჭიროა ორი სამაგალითო სახალხო სკოლა დაარსდეს ერთი ალ. ხახანაშვილის და ერთიც იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე. სკოლების ადგილის ამორჩევა—ეს, რასაკვირველია თვით, საზოგადოების გამგეობის საქმეა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გამგეობა არ ასცდება ამ ერთადერთს ხალხის სასარგებლო გზას“.

## ნარკვევი
ჟურნალ-გაზეთებიდან

ცნობილი მენშიკოვი ერთავად მოლოდინშია; დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში უსათუოდ თავს დაესხმიან რუსებს აუარებელი მტერები. ყველაზე საშიში მტერი კი ავსტრია ყოფილა.

„ავსტრიასთან ომი, როგორც მე მგონია,—სწერს მენშიკოვი,—აუცილებელია. პოლონელები, ებრაელები, ავსტრიის სლავიანები,—ყველა ესენი ჩვენი მტრები არიან“. ამისთანა პირობებში, რასაკვირველია, საჭიროა ფიქრი თავის დაცვაზე. მაგრამ რანაირს საშუალებას ურჩევს მენშიკოვი? განსაცდელის თავიდან ასაცილებლად მენშიკოვს საჭიროდ მიაჩნია, რომ რუსეთი თითონ წამოედავოს ავსტრიას და მოსთხოვოს გალიციის სამეფო, რომელიც ჯერ ისევ წმინდა ვლადიმერის დროს რუსებისა ყოფილა. რას არ მოიგონებს მოცლილი ადამიანი?!..

## ახალი ამბავი
### ტფილისი

**სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** რუსთა კურიის ამომრჩეველთ სახელმწიფო სათათბიროს წევრობაზე თავიანთი კანდიდატები უკვე დასახელებულები ჰყავთ. ტფილისისა და ამიერ-კავკასიის სექტანტებს გადაწყვეტილი აქვთ სათათბიროს წევრად აირჩიონ სექტანტების მოღვაწე, ინჟენერი ი. ს. პროხანოვი, რედაქტორი „უტრენნაია ზვეზდა“-სი. რუსთა კურიის ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი კაზარინოვს ასახელებს, მეორე ჯგუფი—სტრელბიცკის, ხოლო მესამე—ვ. ა. ფედოროვსკისა.

**ეგზარხოსის ჩამოსვლა.** 12 აგვისტოს, საღამოს 10 საათსა და 35 წ. კისლოვოდსკიდან ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი. ეგზარხოსის მისაგებებლად სადგურ ყარაიაზში წინადვე წავიდნენ ეგზარხოსის კანცელარიის მმართველი დანილოვი ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის, მდივანი დაციდოვი. ტფილისის სადგურზე ეგზარხოსს მიეგებნენ: ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი, გორისა—ანტონი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბარონ ფონ-როპპი, სასულიერო სასწავლებლების უფროსები, სამღვდელობა და სხვანი.

**დედის სიყვარული.** 11 აგვისტოს, დილით, იულია თევდორეს ასულმა შებროვსკაიმ, რომელიც ხრეშტოვის ქუჩაზე სცხოვრობს, სახლში ქმრის არ ყოფნის დროს, თავის ქალიშვილს საწამლავი დალევინა და შემდეგ თვითონაც დაალია, მოწამლულნი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. დედამ განაცხადა, მე ბნედა მჭირს და თავის მოკვლით მსურდა, ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყავი ავადმყოფობისაგან, ხოლო ბავშვიც იმიტომ მოვწამლე, რომ ძალიან მიყვარდა და მისი აქ დატოვება არ მინდოდაო.

**ცეცხლი** 12 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე, იერუსალიმის მისახვევში, ცეცხლი გაუჩნდა ვაჭრის იაკობ ალექსანდრეს ძის დანდუროვის ჭურჭლეულის მაღაზიას, საიდანაც ცეცხლი გადავიდა ისრაილ აბუაზბანოვისა, შალომ ნანეზიაშვილისა და მოსეს ჯეირანოვის მაღაზიებზე. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა, ზარალი 15,000 მანეთამდეა.

**ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის** იჯარით გასაცემად საჯარო ვაჭრობა მოხდა. მოკირწყვლის მსურველი სამი კაცი აღმოჩნდა. დღეს, 14 აგვისტოს, ქალაქის გამგეობისა

და სატეხნიკო კომისიის შეერთებული კრება გაიმართება, რომელიც საბოლოოდ განიხილავს მოკირწყვლის მსურველთა წინადადებებს.

◆ **დაქცეული სახლი.** 11 აგვისტოს ქალაქის ტეხნიკოსისა, იურისკონსულტის თანაშემწისა და სხვათა თანადასწრებით ნაძალადევში დააქციეს სახლი რევაზ ბაკურაძისა, რომლის სახლი აგებულ იყო საქალაქო მიწაზე და რომელსაც საიჯარო ფული გადაუხდელი ჰქონდა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქალაქს საიჯარო ფულის გადაუხდელობის გამო სახლი დაენგრიოს.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს 1911 წ. 1 იანვრისათვის კავკასიის 11 გუბერნიაში ყოფილა 3,00,000 მეტი დესიატინა სახაზინო **იალალი.** აქედან 1,570,000 დეს. საზაფხულო და 1,530,000 ზამთრისა. ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა სულ 2,275 დეს., განჯის გუბერნიაში—76,152 დეს., ბაქოს გუბ.—140,000 დესეტინაზე მეტი.

ამ მიწების გამიჯვნაზე 1911 წელს ხაზინას დაუხარჯავს 8,665 მ., წელს ამავ საქმისათვის გადადებულია 9,800 მანეთი მთელი კავკასიის სახაზინო იალალების გამოკვლევასა, საქმეების წარმოებასა და გამიჯვნისათვის სულ 45,000 მანეთი იხარჯება.

◆ რედაქციამ მიიღო ბ. ახოსპირელის რჩეული ლექსები „ჩემი სიმღერა". ავტორის სურათით. წიგნში 32 გვერდია, სუფთად არის გამოცემული და ორი შაური ღირს.

◆ მეორე წელიწადია, რაც ქ. ტფილისში **ფერისცვალების მონასტერში გაიხსნა მედავითნეთა სკოლა.** ამავე სკოლაში წელსაც დაიწყობა სწავლა პირველ სექტემბრიდან და მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ეპ. ანტონის მონასტერში.

◆ **ქალაქის გამგეობაში,** ტფილისში ჩამოვიდა არხანგელსკის ქალაქის საბჭოს მდივანი ბ-ნი სეროვი, რომელიც გუშინდლიდან ტფ. ქალაქის თვითმმართველობის საქმის წარმოების გაცნობას შეუდგა.

◆ პეტ. უნ. პრივატ დოცენტის **ნ. ს. დერჟავინის ექსკურსია** გადის თფილისიდან 19 აგვისტოს. ვთხოვ ყველას ვინც პეტერბურგიდგან ამ ექსკურსიას ჩამოყვა ფული (7 მან.) შემოიტანოს 17 აგვისტომდე. **მისამართი „სახ. გაზ." რედ. შ. პ. დადიანს. ნახვა შეიძლება იქვე 10—1 საათამდე.**

◆ ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორი მიწვეულია პეტერბურგში, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო საქმის მცოდნე პირთა თათბირში.

◆ სახლის პატრონთა და ტფ. ბინის დამქირავებელთა **წესდება** უკვე დაიბეჭდა.

◆ **ქალაქის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა.** მზად არის და უკვე იბეჭდება.

◆ 10 აგვისტოს, **ტფ. საბჭოს ტეხნიკურმა კომისიამ** უარჰყო გაუმჯობესებული მოკირწყვლა, რომლისათვისაც საბჭომ 45,000 მანათი გადასდო. მიზეზი ასეთის უარყოფისა ის იყო, რომ ბ. ბ. მირზოევმა, მეხუზლამ და სხვებმა აუტანელი ფასები წარმოადგინეს,—36 მან. ოთხკუთხ საჟენზე.

მართლაც როგორ შეიძლება ქალაქმა ასეთი ძვირი მოკირწყვლა იკისროს, როდესაც 3 მანეთიანი მოკირწყვლაც ვერ გაუკეთებია სადაც აუცილებელი საჭიროებაა.

◆ 12 აგვისტოს დილის 8 საათზე ტფილისში (ნიკოლევის ქ. № 9) გარდაიცვალა **104 წლის მოხუცი ზაქარია ივანეს-ძე ბალიაშვილი.** განსვენებული ზაქარია უმფროსი მოურავი იყო დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სოფლის მამულებისა. პატარაობიდანვე ზაქარია სარაჯიშვილს ემსახურებოდა დილომში, სადაც სოფლის მეურნეობა ჰქონდა მოწყობილი. შემდეგ კი როგორც მოამაგე კაცი თავისთან დაიტოვა. შვილებსაც განსვენებული დავით სარაჯიშვილი უნათლავდა.

◆ **კიევის სტუდენთა ექსკურსია** ქუთაისიდან მიემგზავრება 20 აგვისტოს მატარებლით № 6. ჩაწერა შეიძლება დ. ხონში შალვა დ. ჩხიკვიშვილთან.

◆ 10 აგვისტოს თეატრალნი ქუჩაზე მდედრობითის სქესის. ბავშვი პოვეს, დაახლოვებით 3 თვისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს

◆ ტფილისში 11 აგვისტოს 65 უპასპორტო შეიპყრეს, ხოლო 1 აგვისტოს—34.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **საბირჟო კომიტეტმა** თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: 1) ნაცვლად ა. ნ. მილოვისა, რომელიც ამ ჟამად ტფილისში არ არის, თავმჯდომარეობა დროებით დაეკისროს ს. ხ. სულხანოვს და 2) კომიტეტისთვის სადგომი დაიქირაოს წურინოვის პასაჟში, წელიწადში ას თუმნად.

◆ **მებამბეთა კრების გამო.** 17 აგვისტოს მებამბეობის მცოდნე პირთა კრება მოხდება და გაიმართება თათბირი ნამესტნიკის თანაშემწის სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან კავკასიისა, ქართულ და სომხურ სასოფლო-სამეურნეო ზოგადოებების წარმომადგენელნი.

## სასწავლებლებში.

◆ სამრეწველო-სატეხნიკო სასწავლებელს, რომლის დაარსებაც ტფილისში მოკლე ხანშია განზრახული, ქალაქის თვითმმართველობა მიწას უთმობს. გუბერნატორი გამგეობას შეეკითხა, რომელ ადგილის დათმობას აპირობთო.

## სასამართლო

◆ გუშინ, 13 მარიამობისთვეს, სამოსამართლო პალატაში **გაირჩა ზაქარია ჭიჭინაძის საქმე.** მას ბრალდებოდა აკრძალულ ბროშურების შენახვა და ბრალსა სდებდნენ 129 მუხლით. დამნაშავეს იცავდა კარნეევი. საათ-ნახევარ თათბირის შემდეგ, მართლმსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ზ. ჭიჭინაძე და ერთი წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს.

◆ გუშინვე გასარჩევად დანიშნული იყო სამოსამართლო პალატაში საქმე **მიხეილ მაყაშვილისა, სტუდ. კირონ გელოვანისა და ავაქოვისა.** მათ ბრალდებოდათ რუსეთის სოც. დემოკ. პარტ. წევრობა. ზოგიერთა მოწმეთა დაუსწრებლობისა გამო, საქმე გადაიდო.

## რკინის გზებზე.

◆ 15 აგვისტოდან 20 ოქტომბრამდე შემოღებულ იქმნა ახალი მატარებლები, რომლითაც მგზავრებს გადაუჯდომელად მისვლა შეუძლიანთ კისლოვოდსკიდან კიევში და კისლოვოდსკიდან—ოდესაში.

## კ ო ბ ი.

◆ საქართველოს სამხედრო გზის დათვალიერების დროს ერთი ექსკურსთაგანი, პროფესორი-ბოტანიკოსი პალავიჩინი ხრამში გადავარდა და მარჯვენა ხელი მოიტეხა.

## ქ უ თ ა ი ს ი

◆ ელექტრო-თეატრი „რადიუმი" ამ მოკლე ხანში აჩვენებს სურათებს: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

◆ **შავი ქვის** მრეწველთა საბჭო შაბათს, 11 აგვისტოს, ჭიათურას გაემგზავრა.

◆ ახალგაზდა მხატვარი კოტე ქავთარაძე შეუდგა რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის დროს გადაღებულ სურათების მზადებას.

## სოფლად

◆ **ს. გურჯაანი** (კახეთი), 8—აგვისტოს, 4—საათზე შუადღისას საშინელი სეტყვა მოვიდა. მთელი მიდამო თოვლივით დაჰფარა. ამგვარ ხშირ და ხანგრძლივ სეტყვას არ მოსწრებიან. ვენახები სულ-მთლად გაოხრა. ზარალი დიდია.

# ქუთაისის აჯ-კარბი

თ-დ ვლადიმერ მიქელაძის კანდიდატურის წამოყენებამ თითქო გამოაფხიზლა ხალხი—საარჩევნო სამზადისს ეხლა, როგორც ისძის, მეტის ენერგიით შეუდგნენ სხვა და სხვა ჯგუფები. მარტო ის გარემოება, რომ უკვე ერთი გამორკვეული კანდიდატია, რომელსაც შესაძლებელია მხარი დაუჭირონ სხვილმა მემამულეებმა, დააფიქრა მემარცხენე წრეები და ეჭვი არ არის, რომ თუ წვრილ მემამულეთა რწმუნებულთა რიცხვი საკმაოდ დიდი არ იქნა არჩეული, სხვილ მემამულეთაგან არჩეული ამომრჩევლები მემარცხენე კანდიდატს მხარს არ დაუჭერენ მეტადრე იმ მაზრებში საცა მარტო მემამულეთა საარჩევნო კურია არსებობს, როგორც ქუთაისისა, ოზურგეთისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრები.

თვით ბ-ნი მიქელაძე თურმე ამ დღეებში გამოაქვეყნებს თავის პროგრამას, რომლითაც იგი უახლოვდება თურმე რუსეთში ახლად დაარსებულ პროგრესისტების პარტიის პლატფორმას.

თ-დი იოსებ დადიანი, ქუთაისის კონტრ-აგენტი ამ ჟამად ქუთაისშია. როგორც ისმის თავად დადიანს საქმე-საქმეზე მიუყვანია და გარდა წყლის გამოყვანისა, თურმე ქალაქის განათებასა და ტრამვაის მოწყობასაც აპირებს. ამისათვის, რასაკვირველია, ფულია საჭირო. ამ მხრივ თ-დი დადიანი უზრუნველყოფილია თურმე. ტრამვაი და განათება დიდი საქმეა ქალაქისათვის, მაგრამ უპირველესი საჭიროება ქუთაისისათვის წყალია.

თუმცა თ-დი დადიანი წყალს რიონიდან მოგვაწოდებს, რასაც დიდი ნაკლულოვანება აქვს შედარებით წყაროს წყალთან, მაგრამ ებრაელთა უბნის ნარეცხის სმას, რომ გადარჩება ამოდენა ქალაქი ისიც დიდი წყალობა იქნება და თან ჯანმრთელობის მხრივ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გ ა მ ო

**ალაგირი** (თერგის ოლქი). კვირას, 5 აგვისტოს ხახანაშვილის გარდაცვალების გამო, ალაგირელი ქართველობა ადგილობრივ ტაძარში შეჰკრიბა გლოვის ზარმა. სადაც, ჩვეულების წინაალმდეგ, მთელი წირვა გადახდილ იქმნა ქართულად. წირვის შემდეგ მამა გიორგი კალანდარიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, აღნიშნა განსვენებულის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, და შემდგომ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო.

წირვასა და პანაშვიდზე გალობდა ქართული ხოლო.

**პეტრე მეტრეველი.**

## სამძიმრის დეპეშები.

**ცხინვალი.** სულითა და გულით ვგლოვობთ დაუღალავ მოღვაწისა და მეცნიერის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის დაკარგვას. მისი გარდაცვალება დიდ დანაკლისია მთელი საქართველოსათვის. მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი ვახდევინეთ.

მარიამ გიორგის ასული მაჩაბელი, ნინო და ილია მაჭავარიანები, მიხეილ და თინათინ დიასამიძენი, მელიკო ჩიკოიძე

# კუს ავადმყოფობა.

ექიმ ოდენს აღმოუჩენია კუს მიკრობები. ოდენს იმედი აქვს, ამ საშინელ სენის წინააღმდეგ კუს მიკრობებით აცრა შემოიღოს. ფრანგულ ჟურნალ „პატი პარიზიენ"-ის თანამშრომელისათვის ოდენს უთქვამს:

„იმედი მაქვს, რომ ჩემი აღმოჩენა ისეთსავსე სამსახურს გაუწევს მეცნიერებას კუს წამლობაში, როგორსაც უწევს ყვავილს, ხბოს ყვავილი ან რუს ჩირქი ხუნაგს. ჯერ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა კუს აცრას, მაგრამ ჩემს აღმოჩენას მაინც დიდი შედეგი მოჰყვება ადამიანის სისხლის 1) გისტოლოგიურ გამოკვლევით შევვიძლიან, გავიგოთ კუ აქვს თუ არა თუნდაც არც იარა ჰქონდეს და არც სიმსივნე.

2) დღეს სადოსტაქრო მეცნიერებამ არ იცის, მაგალითად, ამა თუ იმ დასიებულ ადგილას კუს ნიშნები არის თუ არა. გისტოლოგიურ გამოკვლევით კი ამისი გაგება შეიძლება.

3) მე უკვე მაქვს საშუალება კუს მიკრობის მომსპობი, სანამ იგი ძლიერ არ გაზრდილა.

4) კუს ბაცილებს კულტურა ამცირებს კუსაგან დასიებულ ადგილებს.

5) ვისაც კუს ავადმყოფობა აქვს, მას სისხლში კუს ბაცილები ურევია, რის გამოც გაბედულად და საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ კუ გადამდები სნეულებაა და ამ ავადმყოფობით დასნეულებულთა კავშირი არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე სიფილისტიანთან კავშირი". **გ. მ.**

# მოგზაურობა სოფლად

28 ივლისს, შუადღის პირველ საათისთვის შევიკრიბენით სადგურზე, ათი კაცი, ერთი მასწავლებელი ქალი. ჩვენს სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მატარებელი გაჩერდა და ვაგონის კარებში გამოჩნდნენ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფე-ექსკურსანტები, რომლებთან ერთადაც ივლისის რვას უფლისციხეში ვიმოგზაურეთ. ჩვენმა მეგობრებმა გვიცნეს, ჩამოხტნენ, მოგვესალმნენ, გვკითხეს ამბავი. ს. გომამდე ერთად ვიმგზავრეთ. ძალიან კმაყოფილნი იყვნენ მოგზაურობით, აქებდნენ კახეთს, კახელის გულუხვობას, მადლობით იხსენიებდნენ მეტადრე თელავის საზოგადოებას, რომელსაც არაჩვეულებრივ დახვედრა, რომ ახალგაზრდა მოგზაურებისთვის უსიამოვნებანი, მასპინძლობა ჰქონია. ზოგიერთთ თუშური ქუდები დაეხურნათ. ერთი საათის ბაასის შემდეგ, ისევ გავიყარენით-ისინი ქუთაისისკენ გაემგზავრნენ, ჩვენ კი **გომის სადგურზე** ჩამოვხტით.

შუადღე იყო. ცხელოდა, გადავწყვიტეთ ორი-სამი საათი შეგვეცადნა და მერმე სიგრილით წავსულიყავით, მანამდე კი დრო რომ უქმად არ გაგვეტარებინა, შევუდექით **გომის სინდიკატის** დათვალიერებას. დავათვალიერეთ მაღაზია, ბზისა და თივის (პრესი), რომელიც ჩვენს თვალწინ აამუშავეს. ყველგან ხელმძღვანელობას გვიწევდა და განმარტებას გვაძლევდა სინდიკატის დირექტორი ბ. ვ. ე, ბაგრატიონ-დავითიშვილი. აქვე, სინდიკატის სადგომში, მოთავსებულია ზემოგომის **საკრედიტო ამხანაგობა.** როგორც ბ, ბაგრატიონ-დავითიშვილმა გადმოგვცა, ამხანაგობის საქმე თურმე ძალიან კარგად მიდის. ორჯერ ყოფილა ტფილისიდან რევიზორი გამოგზავნილი—და ყველა საქმე რიგზე უნახავს. ამიტომაც კრედიტი გაუორკეცებიათ. ამხანაგობას ჰყოლია 500-ზე მეტი წევრი.

საღამოს 5 საათი იქმნებოდა, როცა სოფ. ავლევისკენ გავსწიეთ. პირველი სოფელი, რომელიც ჩვენ გავიარეთ, იყო **მოხისი.** გომიდან მოხისამდე სულ 4—5 ვერსი იქნება. მთელი ეს მანძილი ირგვლივ ტრიალ მინდორს წარმოადგენს და დაფარულია უფრო ხშირი, ატეხილი, მწვანედ მოღაჟღაჟე სიმინდით, მოხისი გაშენებულია მაღლობზე. შენობები სულ ფიცრულია, ჭდეული, მამული ურწყავია, ამიტომ გვალვისა გამო მიწა ყაშა-ყაშა დახეთქილა, სიმინდს ძირს დაუხრია ფოთლები, ჩამომჭკნარა, გავცდით მოხისს და ახლა **გუგულის ქედს** შევუდექით. არ ვიცი ეს სახელი რად დაურქმევიათ ამ ქედისთვის. აქედან უცხო სანახაობა გეშლება თვალწინ. ძირს, დაბლობში, მდინარე ფრონეს ნაპირებს მწვანე ზოლივით გასდევს ზემოთ ბაღ-ვენახები, მარჯვნივ და მარცხნივ მწვანით მოსილი მთები, რომელთა კალთებზე პატარძალსავით მოკეკლუცებული გამოგყურებს პატარ-პატარა სოფლები, შორს კი, შორს, ცის სივრცეში, ამაყად აზიდულა კავკასიონის ქედი, მედიდური, თმა შეთეთრებული. ხეობა პირველად ვიწროა, შემდეგ კი თან და თან ფართოვდება, ფართოვდება, და უფრო ლამაზი, მდიდარი გეჩვენება. ამ ხეობას ჰქვიან **ფრონის ხეობა.** ფრონის ხეობა თავის მხრივ ორ ხეობად იყოფა

# გარეული იხვი

**ჰ ე ნ რ ი კ  ი ბ ს ე ნ ი ს ა.**

დრამა ხუთ მოქმედებად.

გაგრძელება *)

**მოქმედება მესამე.**

**ჰიალმარ ეკდალის სახელოსნო.**

დილაა. ბანის ფა ჯრიდან შემოდის შუქი, ფარდა გაწეულია. ჰიალმარი მაგიდასთან ზის და სურათებს აკეთებს. წინ რამდენიმე სურათი უძევს. დერეფნის კარებიდან შემოდის გინა შლიაპითა და წამოსასხამით, ხელში უჭირავს გადაფარებული კალათა.

**ჰიალმ.** კიდეც დაბრუნდი, გინა?

**გინა.** ჰო, უნდა ავჩქარდე, (კალათას დასდგავს და შლიაპა-წამოსასხამს იხდის.

**ჰიალმ.** ნახე, როგორ მოეწყო გრეგერსი?

**გინა.** (დაცინვით). კარგი მოუვა, კარგად ის მოეწყო. ჯერ არ გადმოსულა და ისეთი სისუფთავე შეიტანა თავისს ოთახში...

**ჰიალმ.** როგორ?

**გინა.** ასტყდა, ყველაფერს მე გავაკეთებო; ფეჩი გაახურა და სახურავი კი არ აეხადნა, მთელი ოთახი კომლით აივსო, ისეთი სუნია!..

**ჰიალმ.** შეუძლებელია!

**გინა.** უფრო კარგი გითხრა! ცეცხლი უნდოდა ჩაექრო და სავსე პირისაბანიდან წყალი სულ შიგ შეესხა. ეხლა იმისი ოთახი საღორესა ჰგავს.

**ჰიალმ.** ფუ, რა უქნია!

**გინა.** მეკარეს დავუძახე, რომ ცოტათი მაინც მოეყვანა რიგზე იქაურობა, მაგრამ საღამომდის მაინც იქ შესვლა შეუძლებელია.

**ჰიალმ.** თითონ სადღა იყო ამ დროს?

**გინა.** არ ვიცი, სადღაც წავიდა.

**ჰიალმ.** მეც შევედი იმასთან ერთი წუთით; შენ რომ გამოხვედი იმის შემდეგ.

**გინა.** გავიგე. საუზმეზე მოიწვიე?

**ჰიალმ.** ეჰ, რის საუზმეზე. ისე რაღა, დღეს ხომ პირველი დღეა, უამისოდ არ შეიძლებოდა, შენ ხომ ყოველთვის გაქვს ხოლმე რამე...

**გინა.** ჰო, რომ არც იყოს, უნდა ვიშოვოთ.

**ჰიალმ.** მხოლოდ ძალიანაც ნუ იყაირათებ. მგონი რელლინგი და მოლვიკა მოვლენ. მოლვიკს კიბეზე შევხვდი და უხერხულად მეჩვენა. არ მეთხოვნა.

**გინა.** როგორ! ისინიც ორნივე იქნებიან?

**ჰიალმ.** ოჰ, ღმერთო! ორით მეტი თუ ნაკლები სულ ერთი არ არის.

**ეკდ.** (თავისს ოთახის კარებს გააღებს და შემოიხედავს). ჰიალმარ, ყური მიგ... (შეამჩნევს გინას). ახ!

**გინა.** რა გინდა, პაპა?

**ეკდ.** არაფერი, არაფერი, გინა (კარებს შეიხურავს).

**გინა.** (კალათას აიღებს). იმას ყური უგდე, არსად წავიდეს.

**ჰიალმ.** კარგი იცი, გინა, რა კარგი იქნება, სალათა რომ გააკეთო! თორემ რელლინგმა და მოლვიკმა წუხელიც გადაჰკრეს.

**გინა.** ისინი ჩქარა ამოვლენ, და მგონი ვერ მოვასწრობ.

**ჰიალმ.** მოასწრობ, როგორ ვერ მოასწრობ.

**გინა.** მაშ, კარგი, მანამ შენ იმუშავებ?

**ჰიალმ.** ხომა ვზივარ და ვმუშაობ. ვიმუშავებ, სანამ ძალა და ღონე შემწევს.

**გინა.** სხვა რომ არა იყოს-რა, მერე თავისუფალი იქნები. (შედის სამზარეულოში).

(ჰიალმარი ცოტა ხანს ზის და ზარმაცადა და უგულოდ მუშაობს).

**ეკდალი.** (გამოიხედავს და ჯერ ოთახს მ მოათვალიერებს ჩუმად). გცალიან?

**ჰიალმ.** როგორცა ჰხედავ, არა. აი, ვზივარ და თავს ვაკლავ ფოტოგრაფიას.

**ეკდ.** ჰო-ო! თუ საჩქარო საქმეა, ღმერთმა დამიფაროს. ჰმ... (შედის თავისს ოთახში და კარებს ღიასა სტოვებს).

**ჰიალმ.** (ერთს წუთს მშვიდათა მუშაობს, შემდეგ სურათებს იქით გადააწყობს და ეკდალის კარებთან მიდის). საქმე გაქვს, მამა?

**ეკდ.** თუ შენა გაქვს საქმე, მეც საქმე მაქვს.

**ჰიალმ.** ჰო, ჰო! (მიდის თავისს სამუშაოსთან).

**ეკდ.** (მაშინვე კარებში გამოჩნდება). მაინც და მაინც, ჰიალმარ, ძალიან საჩქარო საქმე არაფერი მაქვს.

**ჰიალმ.** მე მეგონა, ზის და სწერს მეთქი.

**ეკდ.** რა ჭირად მინდა. არ შეუძლიან გრომბერგსა თუ რაა, ერთიორი დღე მოიცადოს ცეცხლი ხომ არ უკიდია.

**ჰიალმ.** რასაკვირველია, და ან შენ ყმად ხომ არ გაუხდი იმათა.

**ეკდ.** და მერე ეს... იქ...

**ჰიალმ.** ჰო, რასაკვირველია იქნება იქ გინდა შესვლა? გაგიღო?

**ეკდ.** ჰო, კარგი იქმნება.

**ჰიალმ.** სხვა არა იყოს რა, მაგას მაინც დავამთავრებთ.

**ეკდ.** ხვალ დილისთვის უნდა მზად იყოს. ხვალ ხომ იმის დაბადების დღეა.

**ჰიალმ.** ჰო, ჰო, ხვალ არის. (ორივენი გასწევენ კარებს. ფანჯრებიდან შედის დილის მზის შუქი. ზოგი მტრედი გადაფრინდება, სხვები სხედან და ღუღუნებენ. ცოტა მოშორებით ქათმები კაკანებენ).

**ჰიალმ.** შედი რაღა, მამა.

**ეკდ.** შენ კი არ შემოხვალ?

**ჰიალ.** მე? მოვალ. (შესვლას აპირობს). იცი, ჩემის აზრით... (შეამჩნევს გინას სამზარეულოს კარებში). მე? არა, არა მცალიან, უნდა სამუშაო გავათავო. (ჩამოუშვებს ფარდას, რომლის ქვედა ნაწილი ძველი იალქანის ნაგლეჯია, ზეითა კი ბადისა. მოჩარდახებულის იატაკი არა სჩანს). ესე... ეხლა შემიძლიან მშვიდად დავჯდე და ამ რამდენსამე წუთს მაინც ვიმუშავო.

**გინა.** ის ისევ იქა ფათურობს?

**ჰიალმ.** როგორა გგონია, იქნება სჯობდეს, ქ-ნ ერეკსენთან წავიდეს. (ჯდება სამუშაოდ მაგიდასთან). გინდა რამე?

**გინა.** უნდა მეკითხნა—შეიძლება სუფრა აქ გავშალო, მაგიდაზე?

**ჰიალმ.** რატომაც არა. ხომ არ დაჰპირებიხარ ვისმე, მოსულიყო ამ დილით სურათების გადასაღებად?

**გინა.** არა. დღეს მარტო ახალ ნეფე-დედოფალს ველი. ერთად უნდათ სურათის გადაღება.

**ჰიალმ.** შეუძლიანთ მერეც გადიღონ როდისმე.

**გინა.** არა, კარგო ეკდალ, ისინი დღეს სადილის შემდეგ ამოვლენ. ასე დავპირდი. მაშინ ხომ შენცა გძინავს ხოლმე.

**ჰიალმ.** ჰო-ო! ეგ ჯობს. მაშ, ჩვენ აქ ვისაუზმებთ.

**გინა.** ჯერ ადრეა, შეგიძლიან პატარა ხანი კიდევ იმუშაო.

**ჰიალმ.** მგონი კარგადა ჰხედავ, რომ ვმუშაობ, სანამ ძალა შემწევს.

**გინა.** სამაგიეროდ მერე თავისუფალი იქმნები, (მიდის სამზარეულოში. პაუზა).

**ეკდ.** (ფარდულის კარებიდან). ჰიალმარ!

**ჰიალმ.** რა?

**ეკდ.** მგონი ვარცლის გადადგმა მოგვიხდება.

**ჰიალ!** მაგას მე დიდი ხანია ვამბობ.

**ეკდ.** ჰმ... ჰმ... ჰმ... (კარებიდან წავა).

**ჰიალ.** (პატარა ხანს მუშაობს. ცალი თვალით ფარდულისკენ იცქირება. ადგება. ამ დროს შემოვა სამზარეულოდან ედვიგი. ჰიალმარი ისევ ჩქარა დაჯდება). რა გინდა?

**ედვ.** შენთან მოვედი.

**ჰიალმ.** დასაზვერად, განა—მუშაობს თუ არაო.

**ედვ.** სრულებითაც არა.

**ჰიალმ.** დედა რას აკეთებს?

**ედვ.** სალათასა, (მიდის მაგიდასთან), გიშველო, მამა?

**ჰიალმ.** არა, სჯობს ისევ მე ვიმუშავო, სანამ ძალა და ღონე შემწევს.. არა, ედვიგ, არა, ოღონდ მამაშენი საღად და ჯანმრთელად იყოს და...

**ედვ.** არა, მამა, არა, მაგისთანა საშინელებას ნუ იტყვი.

**ჰიალ.** (გაივლ-გამოივლის, გაჩერდება ღია კარებთან და ფარდულში იცქირება). ნეტავ, რას აკეთებს?

**ედვ.** ალბად კიდევ აკეთებს ვარცლის წყალსა.

**ჰიალ.** მარტოკა ის თავისს დღეში ვერ გააკეთებს მაგასა. მე კი დასჯილივით აქ უნდა ვიჯდე.

**ედვ** მომეცი ფუნჯი, სურათებს მე გავაკეთებ, მამა.

**ჰიალ.** სულელობ! შენ მხოლოდ თვალებს გაიფუჭებ.

**ედვ.** არა, მამა! აბა ფუნჯი მომეცი!

**ჰიალ.** (ადგება) სულ ორი-სამი წუთის სამუშაო-ღა დარჩა.

**ედვ.** ეს თვალებს როგორ გამიფუჭებს?! (იღებს ფუნჯსა). აი ასე! აქ ნიმუშიცა მაქვს.

**ჰიალ.** თვალებს გაუფრთხილდი მხოლოდ, გაიგე? მე პასუხისმგებლობა არ მინდა. შენ თითონ უნდა იყო მოვალე...

**ედვ.** (სურათებს ასწორებს), კარგი.

**ჰიალ.** რა სწრაფად მუშაობ, ედვიგ! აქ სულ რამდენიმე წუთის სამუშაო-ღაა. (მიდის ფარდულში. ისმის ეკდალისა და ჰიალმარის ლაპარაკი. ჰაილმარი მივა კარებთან). ედვიგ, შენს გაზრდას, ერთი გაზი და ჩაქუჩი მომაწოდე. (უკან მიბრუნდება). აი, აბა, წახავ, მამა; მხოლოდ ცოტა დამაცადე, გაჩვენო, როგორ უნდა გავაკეთო. (ედვიგი მისცემს გაზსა და ჩაქუჩსა). გმადლობ. კარგია, რომ შემოვედი. (მიდის კარებიდან. ისმის კაკუნი და ლაპარაკი. ედვიგი იმათ უცქერის. ისმის ხმა დერეფნიდან. ედვიგი ვერ გაიგებს).

**გრეგ.** (შემოდის უშლიაპოდ და უპალტოოდ და კარებში გაჩერდება). დილა მშვიდობისა!

**ედვ.** (მიეგებება) გამარჯობათ! მობრძანდით!

**გრეგ.** გმადლობთ. (ფარდულისკენ იცქირება). მგონი დღეს მუშები დაგიქირავებიათ?

**ედვ.** არა, ეგ მამაჩემი და პაპაა. ეხ საათში გეტყვი...

**გრეგ.** არა, არა, არ მინდა... მოვუცდი... (ჩაჯდება სავარძელში)

**ედვ.** მაშ, სურათებს ავალაგებ.. (უნდა აალაგოს).

**გრეგ.** რასა ბრძანებთ, იყოს. დასათავებელი სურათებია?

**ედვ.** ჰო, მამისთვის მინდოდა მეშველა.

**გრეგ.** თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამერიდებით.

**ედვ.** კარგი. (მუშაობს. გრეგერსი მას ჩუმად უცქერის).

**გრეგ.** თქვენმა იხვმა როგორ გაატარა წუხანდელი ღამე?

**ედვ.** გმადლობთ, მგონი კარგად.

**გერგ.** (ფარდულისკენ იცქირება). დღე სულ სხვა სახე აქვს, სანამ ღამე მთვარის შუქზე.

**ედვ.** ჰო, სრულებით სხვაა. დილით სხვანაირია, საღამოთი სხვანაირი... წვიმის დროს კიდევ სულ სხვა ფერი აქვს, სანამ დარში...

**გრეგ.** თქვენ ეგეც შეამჩნიეთ?

**ედვ.** ეგ მაშინვე ემჩნევა.

**გრეგ.** თქვენც გიყვართ გარეულ იხვთან ყოფნა?

**ედვ.** ჰო, როცა კი შეიძლება...

**გრეგერ.** რასაკვირველია, თქვენ

*) იხ. „სახ გაზ" № 671.

ფა—აბანოს ხეობა და ავლევის ხეობა. ირგვლივ, რამდენიმე ვერსით ერთმანეთზე დაშორებული, გადაჭიმულა პატარა სოფლები. ბერძენაული, ფცა, შაქშაქეთი, ბრეძა.

დიდხანს ვიდექით გუგულის ქედზე. დიდხანს გავყურებდით ირგვლივ ჯადოსნურ ბუნებას მდუმარენი დ გულში გვებრალებოდნენ ის საბრალო არსებანი, რომელნიც სხვა და სხვა გარემოების, უფრო კი თავიანთ დაუდევრობის გამო ვერ გასცილებიან ქალაქის, მყრალ ქუჩებს დ აი ამ ბუნების სიმშვენიერეზე კი წარმოდგენაც არა აქვთ. დიდხანს დავრჩებოდით აქ კიდევ, მაგრამ მზე იწურებოდა, წინ კი დიდი გზა გვედო. ჩავსხედით ეტლში და სიმღერით დავეშვით ქვემოდ. გავიარეთ ბერძენაული და პატარა ხნის შემდეგ აბისში ვიყავით. აბისი პატარა სოფელია—სულ 50—55 კომლი, ქართველები. ამათგან ორი კომლი ყოფილა თავადი ამირეჯიბები, მაგრამ მოძრაობის დროს ერთი კომლი გადაუწვამთ, რასაც ჰმოწმობს შეროჯული, ჩაფიქრებული კედლები. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას, მისდევენ მევენახეობასაც, მაგრამ ნაკლებ, რადგან ვაზი არა ხეირობს. მიწას ამუშავებენ პირვანდელ წესით, მაგრამ ნელ-ნელა ახალ მანქანა-იარაღებსაც ეჩვევიან. ზემო ქართლის აგრონომს ე. კარბელაშვილს სხვათა შორის აქ უცდია ახალი გუთანი, მაგრამ გლეხებს ცოტა ალმაცერად უცქერიათ მისთვის: —ისე ვერა ჰხნავს როგორც ჩვენი რვა-უღლიანი გუთანიო. სათესი მანქანა და სათოხნი კი ძალიან მოსწონებიათ. საერთოდ აქაურნი ბ. კარბელაშვილს მადლობით იხსენიებენ. შესასვენებლად ვეწვიეთ ბ. ო. ამირეჯიბს. ამირეჯიბმა გულგაშლით მიგვიღო, სახლში შეგვიწვია, გაგვიმასპინძლდა. დავათვალიერეთ მისი ბაღი, სადაც ნამყენი ხეხილია ჩაყრილი. ხილს, როგორც ყველგან, წელს ნაკლები პირი უჩანს. დიდი ხანი არ დავრჩით აქ. გამოვემშვიდობეთ მასპინძელთ და ისევ გზას გავუდექით. ბინდი იყო, როცა ავლევს მივედით. გულისფანცქალით ვეკითხებოდით ერთმანეთს—რომელი იყო ბ. კონსტანტინე ამირეჯიბის მოსახლეობა. მალე ვეღირსენით იმის ნახვასაც. ეზოში შესვლისთანავე დავრწმუნდით, რომ აქ ევროპიულად განათლებული ადამიანი სცხოვრობს და, კარმიდამოს მზრუნველ, ხელის კვალი ემჩნია. დაწკრიალებული ბაღჩა, რიგზე ჩამწკრივებული ლამაზი ცაცხვის ხეები, კეკლუცი ყვავილნარები, ხეივნები ჰმოწმობდნენ, რომ აქ ყველგან, ყოველს კუთხეში შრომა იყო გამეფებული. ბ. კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბი კარებში დაგვხვდა გულლიად, ქართველურად და მდიდრულად გაწყობილ დარბაზში შეგვიპატიჟა. ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქითურზე... სხვათა შორის ჩვენი დაბეჩავების მიზეზად პატივცემულმა კონსტანტინე მიხეილის ძემ ის დაასახელა, რომ ინტელიგენცია სოფელს გაურბის—პატარას შეისწავლიან რამეს თუ არა მაშინვე ქალაქში გარბიან, ვიღას რად უნდა სოფელი, არა კადრულობენ სამშობლო კერასთან ნაყოფიერ შრომას... აქ, წინად, როცა ქსენონი გავხსენით, რამდენი შრომა დამჭირდა, ცდა, რომ ექიმად ქართველი მომეწვია. მივმართე ერთ „გულმტკივნეულ მამულიშვილს", მაგრამ... ცხვირი ამიკრა, საზოგადოებას, ცხოვრებას მოვწყდებიო, ეს ასეო, ეს ისეო და იძულებული შევიქენი უცხო ტომის კაცი მომეწვია. ეროვნულ საქმის ასაღორძინებლად, სოფლის ფეხზე წამოსაყენებლად აუცილებლად საჭიროა ინტელიგენცია სოფელს დაუბრუნდესო...

დავსხედით ვახშამზე. აქაც ბევრი რამ ითქვა ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამზე, ინტელიგენციაზე... ვახშმის შემდეგ მიგვიწვიეს დარბაზში მუსიკის მოსასმენად. როიალს მიუჯდა პატივცემულ მასპინძლის და, ქართულ საფილჰარმონიო სკოლის მასწავლებელი ბარბარე მიხეილის ასული ამირეჯიბი. გაისმა როიალის ნაზი ხმა, ზედ მოჰყვა ტკბილი ბარიტონი, რომელსაც გრძნობით უკრავდა თვით ბ. კონსტანტინე მიხეილის ძე. დიდხანს ვუსმენდით მომჯადოვებელ მუსიკას ტკბილ გრძნობებ აღძრულნი, დიდხანს შევცქეროდით სიყვარულით ბ. კონსტანტინეს დაკერებულ ჩუსტებში და ლურჯ, მუშურ ტანისამოსში გამოწყობილს, სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი, ცხოვრებით უკიდურესობამდე გამწარებულმა, ტანჯულმა, აქ ვიგრძენ სიამე, შვება, დამავიწყდა ჩემი უბედური ცხოვრება, კაცთა სიავე, ბოროტება ქვეყნად გამეფებული... მზად ვიყავ მოვხვეოდი მუხლებზე შრომის მეფეს, მასპინძელს, მელოცნა, მელოცნა... ვევედრებოდი ღმერთს მალე გათენებულიყო, ჩემის თვალით მენახა ის, რაზედაც გაზეთის ფურცლებზე ისე ხშირად ამომეკითხა. ცხოვრების ფურცლებს აქაც ექვი შემქონდა—გადამეტებულია მეთქი.

(შემდეგი იქნება)

სანგანიძე.

# ექსკურსანტები

(დასასრული)

უაზრო მგზავრობის დამცველ ძსჯელობაც ალბად იმიტომ უთავო რჩება, რომ ეს თავი ახალ-ახალი სურათების სანახავად სუმუდამ ვაგონის ფანჯარაში აქვთ გამოყოფილი.

როცა ადამიანის მგზავრობას ადამიანთა, ხალხის ცხოვრების ან ბუნების შესწავლა აქვთ საგნად და არა ცხოვრების ზერელე სურათების შეკრება, მაშინ საქმის ვითარება იცვლება.

რამდენი დიდად საინტერესო მასალაა ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც გაცნობა უნდა, დღეს კი უმიზნო მგზავრნი ყურადღებას არ აქცევენ: ზეპირ-სიტყვაობა, ზნე-ჩვეულება, ეკონომიური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა, საზოგადოდ ხალხის გაცნობა, მასთან დაახლოვება.

მივმართოთ ამ მხრივ მაგალითისათვის რუსეთის სახელ-განთქმულ მგზავრს მიკლუხო-მაკლაის, რომელიც ავსტრალიის ახლოს ერთ კუნძულზე ველურთა ცხოვრების შესასწავლად გაემგზავრა.

მიკლუხო-მაკლაიმ კარგად იცოდა, რა სასტიკობას იჩენენ განათლებული ევროპიელები ველურების მიმართ და გადასწყვიტა დიდი მოთმინებით აღჭურვილიყო და არაფრის გულისათვის ძალადობისათვის არ მიემართნა.

როცა მიკლუხო-მაკლაი გემიდან ნავში გადმოვიდა და ნაპირისაკენ გაემართა, იქ უკვე სამტროდ მომზადებული ველურების მთელი ბრბო დახვდა. მიკლუხო-მაკლაის ხელში იარაღი ეჭირა, მაგრამ ნაპირზე რომ გადმოვიდა, ეს იარაღი მიწაზე დააგდო. ამ სანახაობამ მეტის-მეტად გააკვირვა ველურთა ბრბო: მიუახლოვდნენ ამ უცნაურ ადამიანს და, სამტროდ წასაქეზებლად, შუბებით ცოტ-ცოტა ჩხვლეტა დაუწყეს.

„თავი ძლიერ შევიმაგრე"; სწერს ეს შესანიშნავი მგზავრი თავის დღიურში „და ძალადობაზე ძალით პასუხი არ გავეცი"-ო.

ველურები მალე ჩამოეხსნენ მიკლუხო-მაკლაის, მის გარშემო ცეკვათამაში გამართეს და ხელით ანიშნებდნენ თან წამოგვყევიო.

მიიყვანეს თავის სოფელში. უცნობი მგზავრი უშიშრად, სრულის სიმშვიდით და დანდობილი გულით ეპყრობოდა თავის მასპინძლებს, რომლებმაც იგი ერთ კარავში დააბინავეს და დარაჯი მიუჩინეს, რომ არსად არ გაქცეულიყო. მიკლუხო მაკლაი ყოველ მათ ბძანებას მორჩილებით ასრულებდა. მალე ველურების სოფელში მან ავადმყოფები აღმოაჩინა და ექიმობა დაუწყო, რადგან მეცნიერების ეს დარგი შესწავლილი ჰქონდა.

თანდათან, სიყვარულიანი მოპყრობით, მშვიდობიანი, უშიშარი და დანდობილი გულის წყალობით მიკლუხო-მაკლაიმ ველურების სიყვარული და ნდობა მოიპოვა, მათი გული მოინადირა.

ჩემ თავს სასტიკად თვალ-ყურს ვადევნებდი, რომ ყოველივე ჩემი დაპირება ამესრულებინა, — ამბობს ჩვენი არაჩვეულებრივი მგზავრი.

ამ გარემოებამ მეტის მეტად სასიკეთოდ იმოქმედა ველურებზე.

მიკლუხო მაკლაის სხვათა შორის სამეცნიერო მიზანიც ჰქონდა, იქაური მცენარეების ნიმუშები, მთელი კოლექცია იქაური ჯიშის მცენარეებისა უნდა შეეგროვებინა და ამ საქმეში ველურები დიდ დახმარებას უწევდნენ.

თანდათან სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა კავშირი სტუმარ მასპინძელთ შორის და როცა ორი წლის შემდეგ სტუმარმა თავის სამშობლოში დაბრუნება დააპირა, მასპინძლები დიდად შეწუხდნენ და პირობა ჩამოართვეს, რომ ერთი წლის მეტი არ უნდა დარჩენილიყო თავის სამშობლოში შემდეგ უეჭველად ისევ იმათთან უნდა დაბრუნებულიყო.

მიკლუხო-მაკლაიმ პირობა მისცა დ ველურებს მტკიცედ სწამდათ, რომ ის თავის სიტყვას არ უღალატებდა.

გავიდა ერთი წელიწადი და ველურების კუნძულს მიუახლოვდა დიდი უცნობი გემი. ველურები, სამტროდ მომზადებულნი, შუბებითა და მშვილდ-ისრებით შეიარაღებულნი დარაზმდნენ ზღვის პირად. მალე დაინახეს და იცნეს მათკენ ნავით მომავალი მიკლუხო-მაკლაი. ასტეხეს მხიარული კიჟინი, ჩაცვივდნენ თავის ვიწრო და გძელ ნავებში და გაეშურნენ ძვირფასი ადამიანის მისაგებებლად. აღტაცებით მოეგებნენ, გადმოსვეს თავის ნავში და ნაპირზე რომ მივიდნენ, თავისი საყვარელი სტუმარი ხელში აიყვანეს და თავის სოფელში, რამდენსამე ვერსის მანძილზე, ასე ხელით მიიყვანეს.

აქ, სოფელში, მიკლუხო მაკლაის უცნაური სანახავი დახვდა. იმისი პატარა კარავი, რომელიც ველურებმა, როცა იგი მათ შორის ცხოვრობდა, განზრახ მისთვის გააკეთეს, გარეშემო ყრუ ღობე შემოვლებული იყო, არსად შესავალი არ სჩანდა.

ველურებმა საჩქაროდ დაარღვიეს ღობე და სტუმარი თავის კარავში შეიყვანეს. იქ მიკლუხო-მაკლაიმ დაინახა ხელ-მიუკარებლად მაგიდაზე დაწყობილი, თავისი დატოვებული პაწ-პაწია ნივთები.

ღობე ყრუდ იმიტომ შემოევლოთ ველურებს თავისი მეგობრის კარვისათვის, რომ იმისი ბინა წმიდათა წმიდასავით დაეცვათ,

აი ნამდვილი მგზავრის, ხალხის გულის პასუხის მცოდნე ადამიანის დიადი მაგალითი!

სასარგებლოა, უაზრო ხეტიალის დროს ხშირად გავიხსენოთ ხოლმე იმისი ნაყოფიერი ცხოვრება.

ილია ნაკაშიძე.

# ბურცევი და აზეფი

ფრანგულ გაზეთ „მატენის" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ვ. ბურცევის წერილი, სადაც აწერილია ე. აზეფთან შეხვედრის ამბავი. მოგვყავს წერილი სრულად.

—

სამ წელიწად ნახევარია, რაც აზეფის საქმეები გამოაშკარავდა, მის პიროვნებას ფარდა აეხადა. განა კიდევ აღსანიშნავია, რომ ერთ წუთსაც არ მომისვენია და ყოველთვის მაფიქრებდა ეს საშინელი და საიდუმლო საქმე, რაიც ბევრჯერ გამხდარა მსჯელობის საგნად სათათბიროსა და გაზეთებში?

ჩემთვის, ვით მთელი ქვეყნისათვის აზეფი-ამოცანა იყო. ვინ არის მეთქი, ვფიქრობდი: გენიალი გამცემი, უბრალო ბანდიტი თუ გაიძვერა შარლატანი? ნეტა რა მიზანი ჰქონია იმ ადამიანსა? ან, ნეტა სად არის, სად დაიკარგა—ვკითხავდი თავსა.

გაზეთები ათას ნაირს ხმებს ავრცელებდნენ—ზოგი სწერდა, ამერიკაშიაო, ზოგი ამბობდა შვეციაშიო ზოგი კიდევ—პარიზში, რუსეთშიო და სხვა. ზოგიერთი გარდაცვლილადაც კი სთვლიდა აზეფსა. აქა-იქ იმასაც ამბობდნენ—აზეფი კიდევ ემსახურება რუსეთის საპოლიტიკო პოლიციასაო.

აზეფი რაღაც სალეგენდო პიროვნებად გადაქცეულიყო—ვერავის აღმოეჩინა მისი ბინა, კვალისათვისაც კა ვერ მიეგნოთ.

რაც შეეხება მე—ეხლა შემიძლიან ვთქვა—ჩემ დღეში არ დამიკარგავს ამ საქმის ნამდვილი ვითარების გაგების იმედი.

თან გამოურკვეველი რაღაც გრძნობა მქონდა—დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანი, მთელს ქვეყანას რომ ემალებოდა, თითონ მნახავდა სადმე, თითონ წარმომიდგებოდა წინა. ჩემი გრძნობა გამართლდა. ასეთი დროებაც დადგა.

რამდენისამე ხნის წინად (დაწვრილებითი ცნობები საჭირო არ არის), წერილი მივიღე აზეფის ბინის შესახებ. წერილში ნახსენები იყო ისიც, თუ ვისი სახელით იმალებოდა. აწერილი იყო აგრეთვე მისი გარეგნობა.

მიუხედავად ამისა და ჩვენში ღრმა რწმენისა, რომ ნამდვილად მიმიგნია აზეფისათვის, უცაბედად თავდასხმა არ მომინდომებია.

საიდუმლო ადრესით აზეფს შემდეგი წერილი მივწერე:

„ვიცი სად და ვისი სახელით იმალებით. დიდ ხანს ვერ გასტანს, ფქვენი მაგეთი ყოფნა. შემიძლიან—ყოველივე ვაცნობო სოციალისტურ-რევოლუციონერთა პარტიას და [illegible]. ძალიან გაგიძნელდებათ მას შემდეგ დამალვა და შეიძლება ვეღარც კი მოახერხოთ სადმე წასვლა. მაგრამ სხვა რამე მწადიან: თქვენთან შეხვედრა მსურს. საჭირო არის თქვენი საქმე ყოველ მხრივ გამოირკვეს რადგან დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვს. გარწმუნებთ—ეს ჩემი წინადადებაა და სხვამ არავინ იცის. მსურს გინახულოთ, როგორც ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა და ჭეშმარიტების გაგების მეტი არა მწადიან რა. რასაკვირველია, საფრთხე არა დამიმზადებია რა. თუ თანახმა ხართ, მარტო მოვალ თქვენთან და მოვილაპარაკებ".

სამ დღეს შემდეგ დაკვეთილი წერილი მივიღე. კონვერტზე დაწერილი რო წავიკითხე, მაშინვე ვიცანი აზეფის ხელი.

მართლაც იმისი იყო წერილი. მწერდა: „თანახმა ვარ. მეც დიდი ხანია მსურდა ჩემი საქმის გამორკვევა. შევხვდეთ მაინის ფრანკფურტში 2 აგვისტოს. რასაკვირველია, საფრთხის დამზადება არაფრისა შემიძლიან. ჩვენი შეხვედრის ადგილს გაცნობებთ ფრანკფურტში გამოგზავნილის წერილით."

სად ან რისთვის მივდიოდი, არავისთვის მითქვამს. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა-მეთქი და მაინც შემდეგი ღონისძიება მივიღე: ერთს ჩემს მეგობარს დაბეჭდილი კონვერტი დაუტოვე. შიგ აზეფის ბარათები იდო.

ფრანკფურტს რო ჩავედი, წერილი დამხვდა: „ნაშუადღევის პირველი საათიდან სამის ნახევრამდე დაგიცდით „გრანდ კაფე ბრისტოლში" ადვილად იპოვნით. ვეცდები იქ დაგიცადოთო".

(შემდეგი იქნება)

# ჩინეთი

## დეპეშები.

**პეკინი.** სალამოს ექვს საათზე სუნიათზენი ჩამოვიდა. მთავრობა დიდი ამბით დახვდა. ხალხსაც ოვაცია გაუმართნია.

**მუკდენი.** დამცველ ჯარისკაცთა უფროსი ჯანცზოლინი თაონანფუს გასანთავისუფლებლად მიდის ხუნხუზების წინაამდეგ, რომელთაც ჩჟუანქეტინი აუღიათ, 300 ჯარისკაცი გაჰგზავნეს.

**პეკინი.** წუხელის გენერლის ცზიანგუიტის ჯარს გაუცარცვავს პეკინს ახლო მდებარე ქალაქი თუნჯოუ.

ცოტა გაქვთ თავისუფალი დრო; სკოლაში სწავლობთ?

**ედვ.** არა, სკოლიდან გამოვედი. მამას ეშინიან თვალები არ გაეფუჭდეს.

**გრეგერ.** ჰო, მაშ თითონ გასწავლით.

**ედვ.** მამა დამპირდა მხოლოდ, მაგრამ ჯერ ვერ მოუცლია.

**გრეგერ.** იქნება სხვა ვინმე გშველით?

**ედვ.** დიაღ, კანდიდატი მოლვიკი... მაგრამ ყოველთვის კი არა... იცით ახლა ის ხანდისხან...

**გრეგერ.** სვამს?

**ედვ.** დიაღ, სამწუხაროდ.

**გრეგერ.** მაშ თქვენ ბევრი თავისუფალი დრო გქონიათ. იქ კი ხომ სრულიად განცალკევებულად იცხოვრებთ, არა?

**ედვ.** დიაღ, სრულიად განცალკევებულად, რამდენი შესანიშნავი რამეა იქა?!

**გრეგერ.** ჰო?

**ედვ.** იქ დიდი განჯინებია წიგნებით; ზოგს წიგნებში კიდევ ნახატებია.

**გრეგერ.** მართლა?

**ედვ.** იქ არის კიდევ ერთი შკაფი უჯრებით და რაღაცნაირი სახურავით, კიდევ დიდი საათი... მხოლოდ საათი სდგას.

**გრეგერ.** ასე რომ გარეულ იხვს დრო გასჩერებია.

**ედვ.** ჰო. არის კიდევ ძველი ყუთი საღებავებით და კიდევ ბევრი რამ... უფრო კი წიგნებია.

**გრეგერ.** თქვენ, რასაკვირველია, იმათა კითხულობთ?

**ედვ.** დიაღ, რომლებიც შემიძლიან, მაგრამ მომეტებული ინგლისურ ენაზეა დაწერილი, მე კი ის არ ვიცი. მაშინ ნახატებსა ვშინჯავ ხოლმე. უფრო კი ერთს წიგნსა... ისეთი დიდია-დიდი... გარრისონის „ლონდონის ისტორია" ჰქვიან. ასის წლისა მაინც იქნება... იმაში ძალიან ბევრი ნახატებია. პირველ გვერდზედ სიკვდილი ხატია, იმას ხელში უჭირავს ქვიშის საათი და წინ კი უდგას ერთი ლამაზი ყმაწვილი ქალი... ისეთი საშიშარია! მაგრამ იქ სხვა სურათებიც ბევრია,—საყდრები, სასახლეები, ქუჩები, დიდი გემები დასცურავენ ზღვაში...

**გრეგერ.** მერე თქვენ ვინ მოგცათ ყველა ეგ წიგნები?

**ედვ.** როდესღაც აქა სცხოვრობდა ერთი ზღვის კაპიტანი, ეს სულ იმისი ნივთებია. იმას ყველა „მფრინავ ჰოლანდიელს" ეძახდა, ის კი ჰოლანდიელი სრულებითაც არ იყო. სასაცილოა არა?

**გრეგერ.** ჰოლანდიელი არ იყო?

**ედვ.** არა. უკანასკნელად ის წავიდა და აღარ დაბრუნებულა. იქ კი სუყველაფერი ისე დარჩა, როგორც იმის დროს იყო.

**გრეგერ.** აბა მითხარით: როცა იქა ზიხართ და წიგნებს ათვალიერებთ, არ გინდათ წახვიდეთ და თქვენის თვალით ნახოთ ყველაფერი?

**ედვ.** არა, რას ამბობთ. მე მინდა სულ ჩემს დედმამასთან ვიყო და ვშველოდე.

**გრეგერ.** სურათები ასწორო? ჰო?

**ედვ.** არამც თუ ეგა! ყველაზედ ძალიან იმ სურათების ხატვა მინდა ვისწავლო, როგორც აი იმ ინგლისურ წიგნებშია.

**გრეგერ.** ჰმ... მამა რაღას გეუბნება?..

**ედვ.** მგონი მამას ეს არც კი უნდა. რაღაც საკვირველი კაცია ამ მხრივ. იცით, იმას უნდა, ჩალისა და წნელების წვნა ვისწავლო, ჩემი აზრით კი აქედან არაფერიც არა გამოვა-რა.

**გრეგ.** მეც ეგრე ვფიქრობ.

**ედვ.** რასაკვირველია, მამაჩემი ერთით მართალია: მე რომ დაწვნა მესწავლა, ჩემს გარეულს იხვს ახალ კალათას დაუწნავდი.

**გრეგ.** მერე ყველაზე მომეტებულად ეგ თქვენ შეგეხებათ.

**ედვ.** იმიტომ რომ გარეული იხვი ჩემია.

**გრეგ.** რასაკვირველია, თქვენია!

**ედვ.** დიახ, ჩემია მაშ! მაგრამ მამას და პაპას როცა უნდათ წამართმევენ ხოლმე.

**გრეგ.** იმათ რად უნდათ ისა?

**ედვ.** ისინი უვლიან იმასა, უშენებენ...

**გრეგ.** რამდენადაც გავიგე, გარეული იხვი ფარდულის ყველაზე ძვირფასი მცხოვრებია ყველა თქვენთვის.

**ედვ.** მაშ რა გგონიათ. ის ხომ ნამდვილი გარეული იხვია! ამასთანავე ის უფრო გვეცოდება: მარტო არის, ვერავის დაუმეგობრდება.

**გრეგ.** ჰო, იმას ბაჭიებივით ოთახი არა აქვს გამართული.

**ედვ.** დიახ, ქათმებიც ყველანი ერთად დაიზარდნენ, ის კი ყველა მშობლიურს მოკლებულია... და ამასთანავე ყველაფერი რაღაც უცნაურია მასში: არავინ იცის საიდან ჩამოვარდა, საიდან მოხვდა აქა.

**გრეგ.** ის იყო ზღვის ფსკერზე.

**ედვ.** (ღიმილს იმაგრებს) რადა

**გრეგ.** მაშ როგორ უნდა მეთქვა?

**ედვ.** შეიძლებოდა გეთქვა: ზღვის ძირში.

**გრეგ.** განა სულ ერთი არ არის—ზღვის ფსკერზედა და ზღვის ძირში?

**ედვ.** მართალია, მაგრამ მე რაღაც ნაირად მეჩოთირება, როცა ამბობენ „ზღვის ფსკერზედაო".

**გრეგ.** აბა, ამიხსენით რაღა?

**ედვ.** არა, არ შემიძლიან... სისულელეა...

**გრეგ.** სრულებითაც არ არის სისულელე... მითხარით, რად გაიღიმეთ?

**ედვ.** იმიტომ რომ ყოველთვის, როცა ეგრე ამბობენ, უცბად მაგონდება მთელი ჩვენი ფარდული და ყველაფერი, რაც იქ არის, მაშინა ვფიქრობ „ზღვის ფსკერი"... ისე სისულელით.

**გრეგ.** არა, მაგასაც ნუ იტყვით.

**ედვ.** ეს ხომ უბრალო ფარდულია.

**გრეგ.** (დააკვირდება) თქვენ მაგაში დარწმუნებული ხართ?

**ედვ.** (გაოცებით) რაში? რომ ის ფარდულია?

**გრეგ.** ჰო, თქვენ ეგ დანამდვილებით იცით? (გაკვირვებული ედვიგი გრეგერსს უცქერის. შემოდის გინა ჭურჭლით) მგონი, ცოტა ადრე მოვედი.

**გინა.** თქვენც უნდა იყოთ სადმე თუ არა. მაგრამ არც ადრეა. ჩქარა იქმნება ყველაფერი. მოდი, ედვიგ, მიშველე. (ედვიგი მაგიდას მოალაგებს. შემდეგი ლაპარაკის დროს ისა და გინა სუფრასა შლიან. გრეგერსი სავარძელშია, ალბომსა შინჯავს).

**გრეგ.** მე გავიგე, რომ თქვენც სურათებს ასწორებთ ხოლმე, ქ-ნო ეკდალ.

**გინა.** (გვერძე შეხედავს) დიახ, ხანდისხან.

**გრეგ.** ეგ სწორედ კარგად მოვიდა.

**გინა.** რად მოვიდა კარგადა?

**გრეგ.** იმიტომ რომ ეკდალმა ფოტოგრაფობა დაიწყო.

**ედვ.** დედაჩემმა გადაღებაც იცის.

**გინა.** დიაღ, ჩემთვის აუცილებელი იყო ეგეც შემესწავლა.

**გრეგ.** ასე რომ მთელი საქმე თქვენ მიგყავთ?

**გინა.** დიაღ, როცა ეკდალს არა სცალიან.

**გრეგ.** როგორცა სჩანს მამა ხშირად ხელს უშლის იმას საქმეში?

**გინა.** დიაღ, ამასთანავე არც ეკდალისთანა კაცის საქმეა, რომ ყოველი შემთხვევით შეხვედრილ ადამიანისაგან სურათები იღოს.

**გრეგ.** დიაღ, ჩემი აზრიც ეგეთია. მაგრამ რაკი ერთხელ ამოირჩია ეს გზა...

**გინა.** თქვენ თითონ უნდა კარგად იცოდეთ, ბ-ნო ვერლე, რომ ეკდალი ჩვეულებრივი ფოტოგრაფი არ არის.

**გრეგ.** დიაღაც, მაგრამ მაინც... (ისმის რევოლვერის ხმა. წამოხტება). რა ამბავია?

**გინა.** ოჰ, ისინი კიდევ ისვრიან?!

**გრეგ.** რად ისვრიან?

**ედვ.** ნადირობენ!

**გრეგ.** როგორ თუ ნადირობენ? (ფარდულისკენ). მანდ შენა ნადირობ, ჰიალმარ?

**ჰიალ.** აჰ, შენა! არც კი ვიცოდი... აქ დამიძახა... (ედვიგს) რატომ არ მითხარი? (შემოდის).

**გრეგ.** ფარდულში ნადირობ?

**ჰიალ.** (აჩვენებს ორლულიანს დამბაჩას). აი რითი?

**გინა.** ემანდ მოახდენთ რასმე თქვენ და პაპა მაგ რევოლვერით.

**ჰიალ.** (გაჯავრებით) რამდენჯერ მითქვამს, რომ ეს ცეცხლ-მფრქვევი მანქანა დამბაჩად იწოდება.

**გინა.** მაგითი ეგ არ უკეთესდება.

**გრეგ.** მაშ შენ ნადირობა დაიწყე, ჰიალმარ?

**ჰიალ.** სადაური ნადირობაა? ისე, ბაჭიებზე. უფრო მამიჩემის გულისთვის...

**გინა.** კაცები იმისთანა უცნაური ხალხია, რომ ყოველთვის რამე გასართობი უნდათ ხოლმე.

**ჰიალ.** ფარდულიც ისეა მოწყობილი, რომ სულ არ ისმის, როცა ვისვრით. (დამბაჩას სდებს წიგნთსაწყობზე). დამბაჩას ხელი არ ახლო, ედვიგ, გატენილია.

**გრეგ.** (იცქირება ფარდულში) სანადირო თოფიცა გქონია?

**ჰიალ.** ეს მამიჩემის ძველი დროის თოფია. ეხლა აღარ ისვრის, გაფუჭებულია, თუმცა სასიამოვნოა მაინცა, რომა გვაქვს. დავშლით, გავწმენდავთ, წაუსვამთ ქონსა და ისევ შევინახავთ ხოლმე. რასაკვირველია, უფრო მამაჩემი...

**ედვ.** (გრეგერს) აი ეხლა კარგად დაინახავთ იხვსა.

**გრეგ.** ჰო, იმას ვუცქერი. მგონი ერთი ფრთა ჩამოშვებული აქვს.

**ჰიალ.** გასაკვირვი არაფერია. ტყვია ხომ ფრთაში მოხვდა.

**გრეგ.** და მგონი ცალი ფეხითაცა კოჭლობს?

**ჰიალ.** სულ ცოტათი.

**ედვ.** ძაღლმა უკბინა ფეხში.

**ჰიალ.** მაგის გარდა სხვა არაფერი ნაკლულოვანება არა აქვს. საოცარია: რამდენიმე საფანტი მოხვდა, ძაღლის კბილებში იყო, მაინც...

**გრეგ.** (ედვიგს შეხედავს) მერე ის ზღვის ფსკერზედაც იყო.

**ედვ.** (იღიმება) ჰო..

**გინა.** (სუფრას ალაგებს). ძვირფასი გარეული იხვი. ჩქარა ღმერთად გაიხდიან...

**ჰიალმ.** ჰმ... ნეტა როდის იქნება მზათა?

**გინა.** ემ საათში ედვიგ, წამო, მიშველე. (გინა და ედვიგი სამზარეულოში გადიან).

**ჰიალმ.** (ხმა დაბლა). აქ ნუ ვდგევართ. მაგას არ უყვარს, როცა უცქერიან. (გრეგერსი მოშორდება). სჯობს მივხუროთ, სანამ სხვები მოვლენ. (ქათმებს ერეკება). ქშა, ქშა! (კარებსა ხურავს). ეს მე თითონ მოვიგონე. მაინც და მაინც კარგია, სახლში რომ ამისთანა რამე გაქვს, გაფუჭდება, გაასწორებ, გეერთობი. საჭიროც არის ეს ამასთანავე, გინას არ უყვარს, ქათმები რომ სახელოსნოში დადიან.

**გრეგერ.** დიაღაც, რასაკვირველია... მგონი შენი საქმე სულ შენ ცოლს აბარია?

**ჰიალმ.** მიმდინარე საქმეებს ჩვეულებრივ იმას ვაძლევ. მე კი ამ დროს ჩავიკეტები ხოლმე ჩემს ოთახში და ვფიქრობ უფრო საჭირო და დიდს საქმეებზედ.

**გრეგერ.** რა საჭირო საქმეებზედ?

**ჰიალმ.** მე ისეც მიკვირს, ან კი აქამდის რატომ არაფერი მკითხე. ან შენ ჯერ იქნება არც კი გაგიგონია არაფერი ჩემს გამოგონებაზედ?

**გრეგერ.** გამოგონებაზედ? არა.

**ჰიალმ** ჯერ არა? თუმცა არც გასაკვირვია, თქვენს ტყეში, მთებში და უდაბნოში...

(შემდეგი იქნება)

გ. ნამორაძე.

## გაზეთებიდან.

**რევოლუციის გმირების დასჯა.**

იუანშიკაის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს გენერლები შანგინშვუ და კვანგუი, რომელნიც ქუპეს პროვინციის ჯარში მსახურებდნენ.

სიკვდილის დღეს ორივე გენერალი ევროპულ რესტორანში სადილობდა თურმე გენერალ თუანშიკუასთან. თუანშიკუას მათი სადღეგრძელო დაელია, ჯიბეში კი იუანშიკაის ბრძანება სდებოდა, რითაც შანგშინვუსა და კვანგუის სიკვდილი ჰქონოდათ გადაწყვეტილი.

რესტორანიდან რო გამოსულან, იქვე დაუჭერიათ, ყაზარმაში წაუყვანიათ და ხელად გაუსამართლებიათ. სულ არაფერი გამოუკითხავთ, მხოლოდ უთქვამ, სახელმწიფოს მოღალატენი ხართო.

დასჯილებს ძალიან სასტიკად მოჰქცევიან. ბოძზე გაუკრავთ და ცალ-ცალკე სროლით შეუწუხებიათ. სროლის დროს ისმოდა თურმე უბედურთა ხმა: ღმერთო, შენ ხომ იცი, უდანაშაულონი ვართო.

დახოცილნი იქვე დაუმარხნიათ.

ამ ორი ადამიანის დასჯას ძალიან გაუმწარებია რესპუბლიკელები. ეს პირდაპირ გამოწვევაა საბრძოლველად დებუტატთა პალატისაო, ამბობენ ისინი.

დეპუტატთა პალატას იუანშიკაისათვის პასუხი მოუთხოვნია, რა მიზეზით დახოცეთ რევოლუციის ორი გმირიო. თუ დამაკმაყოფილებელ საბუთს ვერ წარმოადგენს, პალატას გადაუწყვეტია, მთავრობა და იუანშიკაი სამართალში მისცეს.

კენჭის ყრის დროს იუანშიკაის მომხრენი დარბაზში არა ყოფილან.

იუანშიკაის გამოუქვეყნებია გენერლის ლიხნეჰუნის დეპეშა, სადაც ნათქვამია, დახოცილი გენერლები ხელ-ახლად აპირებდნენ რევოლუციის ატეხასაო.

ნანკინის გუბერნატორს იუანშიკაისათვის დეპეშა გამოუგზავნია და გენერალ-რესპუბლიკელთა დასჯის გამო პროტესტი განუცხადებია.

იუანშიკაის სასახლეს ძლიერი რაზმი იცავს.

წუთ-წუთს ელიან დიდი ამბის დატრიალებას და ჯარისგან იუანშიკაის დიქტატორად გამოცხადებას.

ქალაქში აუარებელ ხალხს აპატიმრებენ. პოლიციას ხმა დაუგდია, დიდძალი თოფ-იარაღი ვიპოვეთო. რასაკვირველია, არავის სჯერა ამისთანა ამბავი.

აქეთ-იქითგან ჯარი მოდის. ჯარის კაცებს ყაზარმებიდან გარედ არ უშვებენ.

შანჰაიში ყრილობები იმართება. სუნიათზენი და ქუანსენი წასვლას აპირებდნენ, მაგრამ, რადგან რესპუბლიკას განსაცდელი მოელის, დარჩნენ.

ბერლინში ხმა დავარდნილა, სუნიათზენი პეკინში მოუკლავთო.

## დეპეშები

(დეპეშათა სააგენტო)

13 აგვისტო.

### საზღვარ-გარედ

**ბალკანეთის მდგომარეობა.**

**ბელგრადი.** „სამოუპრავა'ში" დაბეჭდილია წერილი ბალკანეთის მდგომარეობის თაობაზე. თუმცა ალბანეთისა და ჩერნოგორიის უთანხმოების მოსპობა მოვახერხეთ, მაინც ცუდ პირობებშია ბალკანეთი და ასეთსავე მდგომარეობაში იქნება, ვიდრე მისი ცხოვრება ბერლინის ხელშეკრულების მიხედვით არის მოწყობილიო. საჭიროა ევროპის სახელმწიფოებმა სხვა სახელმძღვანელო პრინციპი გამონახონო. ოფიციოზ გაზეთს იმედი აქვს და აშკარად ამბობს—ბალკანეთის ერებს მხოლოდ თავისუფლება და დამოუკიდებლობა არგებსო.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** გაზეთების სიტყვით, კაბინეტში არსებული უთანხმოება უეჭველად კრიზისს გამოიწვევს.

თოფხანის უბანში გადაიწვა 100 სახლამდე. ხალხიც დაღუპულა.

ჩერნოგორიის დესპანმა და ავსტრიის ელჩმა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულეს. ხმა დავარდა, ამის შემდეგ ჩერნოგორიასთან ჩამოვარდნილი უთანხმოება მოისპობაო.

მალისორები ორჯერ დასცემიან სკუტარს, მაგრამ ვერაფერს გამხდარან.

დაანიშ-ბეისა და ხილილა ბეის მინისტრებად დანიშვნის შემდეგაც არ მოსპობილა უთანხმოება კაბინეთში. თუმცა ჰაზი-მუჰთარს განუცხადებია ვეზირობას თავს არ დავანებებ, ვიდრე ხონთქრის ბრძანებას ავასრულებ და არჩევნებს თავისუფლად არ ჩავატარებდეო, მაგრამ შეიძლება სამინისტრო მაინც დაეცეს.

ტრიპოლელთა დეპუტატს განუცხადებია ვეზირისათვის არაბთა მოთავეების სახელით: თუ იტალიას შეურიგდით, ავტონომიას გამოვაცხადებთო და დამოუკიდებლად შევებრძოლებით იტალიელებსაო

ჩერნოგორიიდან სერბიას აუარებელი ქრისტიანი გარბის. ბალკანეთის ერები ვერ ისვენებენ, რიღაცისათვის ემზადებიან. შეიძლება ბერტჰოლდის წინადადებამაც იმოქმედა მათზე.

**ალბანელების საქმე.**

**იპეკი.** ალბანელებმა ციხე გასტეხეს, ტუსაღები გაანთავისუფლეს და იარაღის საწყობი გაძარცვეს.

**ფერიზოვიჩი.** დიაკოვოდან მომავალმა ალბანელებმა საყარაულო დასწვეს და სახლში დათხოვნილი ჯარის-კაცები გაძარცვეს.

**სპარსეთი.**

**ქოი.** დილმანის გზაზე ბაჰშალის ხანის ბრბომ სალმასის გუბერნატორის ორი მხედარი გაძარცვა. გუბერნატორის ბრძანებით ორივე გაძარცული გაჰწკეპლეს: უბრძოლველად იარაღი რად დასთმეთო.

**ლონდონის სატელეგრაფო სადგურის გადაწვა.**

**ლონდონი.** საღამოს ექვს საათზე ლონდონის სატელეგრაფო მთავარ სადგურის მეოთხე სართულში ცეცხლი გაჩნდა და მავთულებს მოედო. ზარალი ძალიან დიდია. ინგლისი ცოტა ხანს მთელ ქვეყანას მოსწყდა.

ძლივს ჩააქრეს ცეცხლი და შეაკეთეს ტელეგრაფი. ზოგგან უკვე მოქმედებს იგი.

**მაროკო.**

**პარიზი.** ახალმა ხონთქარმა და პუანკარემ ერთმანეთს დეპეშები გაუგზავნეს. აღნიშნეს, ერთგულად ვიმუშაოთ მაროკოს დამშვიდებისა და აყვავებისათვისაო.

**აჯანყებულთა დამარცხება.**

**ლისაბონი.** კუნძულ ტიმორელების აჯანყება ჩააქრეს. აჯანყებულთათვის მოუკლავთ 3 ათასი და ტყვედ წამოუყვანიათ 4 ათასი კაცი.

### რუსეთი

**სუვორინის გარდაცვალება**

**პეტერბურგი.** დილის სამ საათზე გარდაიცვალა „ნოვოე ვრემიას" გამომცემელი სუვორინი.

**„პრავდას" ნომრის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** ბეჭდვითი საქმის პეტერბურგის კომიტეტის დადგენილებით დაიჭირეს გაზეთ „პრავდას" მე-88 ნომერი.

**არჩევნების წინ.**

**კიევი.** ყველა მემარჯვენეთა შეერთებული კრება მოხდა. სადეპუტატო კანდიდატად დაასახელეს დემჩენკო და პროფესორი რეკაშევი.

**გესენი და პოლიციის დეპარტამენტი**

**პეტერბურგი.** ცნობათა მომცემი ბიურო აცხადებს—ტყუილია გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ტაშკენტის საპიორთა ამბოხის მოთავე გესენი პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელიც ყოფილიყვესო, გესენს პოლიციის დეპარტამენტისა და თურქისტანის ჟანდარმთა სამმართველოსათვის არაფერი უცნობებია და არც კავშირი რაიმე ჰქონიაო.

## თეატრი და ხელოვნება

**სიღნაღი.** ვალერიან გუნიას თაოსნობით სიღნაღში გამართულმა კონცერტმა საუცხოოდ ჩაიარა. მონაწილეობას იღებდნენ ვანო სარაჯიშვილი, მომღერალი ტომაშევიჩი, მსახიობი ვასო აბაშიძე. ინტელიგენციამ ნადიმი გაუმართა მეკონცერტეთ.

**თელავი.** ვალერიან გუნია, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, ტომაშევიჩი და ვასო აბაშიძე ჩამოვიდნენ. ხალხი აღტაცებით მიეგება. აბაშიძესა და გუნიას სთხოვეს, წარმოდგენა გამართონ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადაუხადო ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც ს. გუბის **აკაკის** სახელობის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს წიგნები.

შემომწირველთა სია:

სტ. გიორგი ბაგრატის ძე მარგველაშვილმა 6 მ. 90 კ. წიგნები. მინადორა პ. მოსეშვილის ასულმა წიგნები 5 მ. 84 კ., შტაბს-კაპიტანმა კონსტანტინე დ. ვაშაკიძემ 15 მ. 60 კ. წიგნები, ნადეჟდა ს. მოსეშვილის ასულმა 3 მ. 15 კ.

ფულად: ვანო პატარქალაშვილმა 25 კ. თითო აბაზი: იასონ კოპალეიშვილმა, ალექსი გოგიჩაიშვილმა, გიგო შავშიშვილმა, გიორგი გაბინაშვილმა, გიორგი ჯაბ., ვასო ჩიოტოშვილმა, სევერიანე ჯოვოხაძემ, გიორგი ჩიქოვანმა, ალექსანდრე ძაძამიამ, ანდრია ქორიძემ, კოსტა ღოღობერიძემ, იოსებ სოტნიაშვილმა, გიორგი მაისურაძემ, ნიკო ყლადიეიშვილმა, მიხა კაკაბაძემ, კონსტანტინე ქუთათელაძემ, გიორგი ბაკურიამ. ნიკო გოცირიძემ 50 კ., დიმიტრი ახობაძემ 30 კ., კოსტა ბუბაშვილმა, ვალოდია კოპალეიშვილმა 25 კ., ნიკო მაჭავარიანმა 30 კ. ორ-ორი შაური: ვლად. აფაქიძემ, დათიკო კერესელიძემ, ანდრია ლაფჩაიძემ, ქრისტეფორემ, კოსტა ბახტაძემ, ზაქარია ვაშაკიძემ, სევერიანე ბახტაძემ. მიხა ბახტაძემ 15 კ.

სულ 6 მან. 15 კ.

ს. გუბის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით გამგეობის წევრი **ვლად. მოსეშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**" ტელ. 682.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606" — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მუშლიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. ვურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. აველისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.116)

**დაბა სამტრედია**

**ახალი აგურხანა.**

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს **6 X 3 X 1½ ვერშოკ. ზომიანს.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსების სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ქეიშვილი.**

(თ. 1338.23)

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

**საბუღალტრო კურსები**

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე.

(25—1437—4)

**ბაღი „ედემი" ვერაზე**

მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქრებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყოველნაირი სასმელი იყიდება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი" თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ.** № 296.

სრულის პატივისცემით

(25.1344.23) **კ. ბაქრაძე.**

—✦ გამოსულია და იყიდება ✦—

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**არჩილ ჯორჯაძის**

**თხზულებანი:**

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კ.

II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა" 80 კ.

III „ „ნააზრევი" 65 კ.

IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. 85 კ.

**საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძმ. ძეგველოვები.**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა**, გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.230)

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:**

ქართ. სიტყვიერების ისტორია . . . . 1—25 კ.

ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 „

იმერეთის მეფე სოლომონ II . 25 „

Матеріалы по груз. агіологій . 80 „

Багратъ, Еписк. Тавроменійск. 1 მ.

Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи 60 კ.

Грузинск. дворянск. акты . . 60 „

Месхи (этногр. очеркъ) . . 60 „

Жизнь и дѣятельность Католикоса грузіи Антонія I . . 50 „

Грузинскій отрывокъ Калилы и Димны . . . . . . 60 „

О Сванетскихъ рукописяхъ и надписяхъ . . . . . . 60 „

Правила VI Вселенск. собора 1 მ.

Трапезундская хроника . . . 1 „

Очерки по груз. культурѣ . 30 კ.

О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II . 25 „

Политич. и культ. состояніе грузіи съ XIII по XVIII в. . 50 „

Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи . . . . . 40 „

Къ матеріал. по драмат литературѣ XVIII в. . . . . 20 „

Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в. . 60 „

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.99).

**ე. ა. ცატუროვის**

**დეპოში**

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

(40—1400—9)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა**

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

**„ნაკადულ"-ზე**

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—96 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**